ხელშეკრულება 490/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი **12. 06. 2015 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, ი/მ "ომარ ვაშაკიძე" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელ. ტენდერისა და ელ. ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, (გადაუდებლის წერილი #MES 41500492707, 11.06.2015წ) სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თსუ-ს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე, დაზიანებული წყლის მილის შეცვლის სამუშაოების (წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები CPV 45232150) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

№	დასახელება	ღირებულება
1	წყლის მილის D=90 მმ მოწყობის სამუშაოები (სამუშაოს დეტალური ხარჯთაღრიცხვა იხ. დანართი #1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს)	13426,56ლ

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 13426,56 (ცამეტიათასოთხასოცდაექვსი ლარი და 56 თეთრი) ლარს, შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება".

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი და/ან ექსპლუატაციის განყოფილება.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობისა და ხარისხის კონტროლს.

3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების - აქტისა (მიღება - ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და/ან შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების/ფორმა #2 წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების - აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების/ფორმა #2-ს გამოუწერლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 15 დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის #6.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1 % ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათაა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

10.2.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

10.2.3.მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

10.2.4. შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

10.3.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად.

10.4.მიმწოდებელი უფლებამოსილია:

10.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,

10.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

10.5.1. შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

10.5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტისას წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან მის შეწყვეტამდე.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2015 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ, მხარეს შეუძლია მიმართოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით,

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება - „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა:
ფიზიკის ინსტიტუტი
კოდი : 320402050202
საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/დ. ჩომახიძე/

მიმწოდებელი

ი/მ „ომარ ვაშაკიძე"

მისამართი:
ქ. თბილისი. წერეთლის გამზ.. კორ.2, ბ 13
საბანკო რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტ ბანკი"
ა/ა N GE60PC0133600100055700
ბანკის კოდი : MIBGGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
01007008370

ი/მ „ომარ ვაშაკიძე"

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

ი. საღარეიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ა. კუკულავა

დანართი №1

N	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალები		ხელფასი		სულ ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	სამშენებლო ტერიტორიის მომზადება, შემოფარგვლა	კვ/მ	240		0	1.5	360	360
2	ა/ბეტონის საფარის მოხსნა და მიწის გათხრა ხელით არსებული კომუნიკაციების დაზიანების გარეშე	გრძ/მ	80		0	25	2000	2000
3	არსებული ჭების დასუფთავება-მოწესრიგება	ცალი	2		0	200	400	400
4	ლითონის მილის დემონტაჟი	გრძ/მ	80		0	11.5	920	920
5	არხის ამოსუფთავება	გრძ/მ	80		0	11	880	880
6	საფუძვლის მოწყობა ქვიშით 10 სმ სისქით	კუბ/მ	4	50	200	10	40	240
7	ახალი მილის მონტაჟი დ=90 მმ	გრძ/მ	80	23	1840	15	1200	3040
	მუხლი	ცალი	1	40	40		0	40
	გადამყვანი	წერტ	2	145	290		0	290
	ახალი ჭის მოწყობა	ცალი	1	270	270	100	100	370
	ურდულის მოწყობა	ცალი	1	150	150	50	50	200
	არსებულ ქსელში შეჭრა	წერტ	2	100	200	50	100	300
	მილის ჰიდრავლიკური გამოცდა	გრძ/მ	80		0	10	800	800
8	არსებული თხრილის მიწის მასით შევსება	კუბ/მ	30		0	10	300	300
9	ცემენტობეტონის საფარის მოწყობა	კუბ/მ	8	150	1200	50	400	1600
10	სამშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ მანძილზე	ტონა	2		0	50	100	100
	ჯამი							**11840.00**
	ზედნადები ხარჯები		8%					**947.20**
	ჯამი							**12787.20**
	გეგმიური დაგროვება		5%					**639.36**
	ჯამი							**13426.56**
	დღგ		18%					
	ჯამი							**13426.56**

შენიშვნა: ინდენტრში არ ვარ რეგისტრირებული როგორც დღგ-ს გადამხდელი, ფასები წარმოდგენილია დღგ-ს გარეშე

ინდ. მეწარმე ო. ვაშაკიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

12 ივნისი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში, ი/მ "ომარ ვაშაკიძე"-სთან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი — ი. საღარეიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი — ა. კუკულავა

შესყიდვების განყოფილების უფროსი — ს. სანაძე

თსუ შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი — ვ. მიღდისელი

ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი — ზ. კილასონია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 15 00492707

11/06/2015

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავით ჩომახიძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2015 წლის 10 ივნისის №957/01-02-03-50 წერილის (სარეგისტრაციო N482147 10,06,2015 წ) პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის (თბილისი, თამარაშვილის 6) მიერ დაზიანებული წყლის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების (სავარაუდო ღირებულება 13426,00 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებართვას გაცნობებთ,რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელო ზემოაღნიშნული შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვ ა დ ე ბ ს " .

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, "პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ნატრიაშვილი

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

№957/01-02-03-50 10.06.2015

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილეს,
ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს

ქალბატონო ქეთევან,

გაცნობებთ, რომ თბლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში (თბილისი, თამარაშვილის 6), დაზიანდა ცენტრალური წყლის ლითონის მილი, რის გამოც მთელ ინსტიტუტის და მათ შორის ფუნქციონალურ ლაბორატორიებს არ მიეწოდება წყალი. საკუთარი ძალებით მილის შეკეთება შეუძლებელია, რადგან ამორტიზებულია და შეკეთებას არ ექვემდებარება. უცილებელია მილის სასწრაფოდ შეცვლა, რადგან ნებისმიერ დროს მოსალოდნელი იქნება მილის ხელახალი დაზიანება. შეიქმნა წყლის მილის გადაუდებელი შეცვლის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულ გარემოებას უნივერსიტეტი აფასებს გადაუდებელ აუცილებლობად და გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განვახორციელოთ წყლის მილის შეცვლის სამუშაოების შესყიდვა (სავარაუდო ღირებულება 13426 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +995 32 222 02 41 Tel.
ფაქსი: +995 32 222 51 07 Fax